



საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N193/04

2018 წლის 1 სექტემბრიდან ძალაში შევიდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N193/04, რომლითაც განისაზღვრა საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების პრინციპები.

ბრძანების მიხედვით, საკრედიტო საინფორმაციო ბიურო („ბიურო“) არის მეწარმე სუბიექტი, რომელიც აგროვებს, ინახავს, ამუშავებს და გასცემს პირის შესახებ საკრედიტო ინფორმაციას.

ბიურო რეგისტრირდება ეროვნული ბანკის მიერ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

რეგისტრაციის დროს, ბიურო ვალდებულია მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენდეს არანაკლებ 3,000,000 (სამი მილიონი) ლარს. ამასთან, ბიუროს ეკისრება ვალდებულება დააზღვიოს თავისი პროფესიული პასუხისმგებლობა არანაკლებ 5,000,000 (ხუთი მილიონი) ლარის ოდენობით.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N217/04

2018 წლის 27 სექტემბრის ეროვნული ბანკის ბრძანებით N217/04, დამტკიცდა სესხის გამცემი სუბიექტის ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის, რეგისტრაციის გაუქმებისა და რეგულირების წესი, რომელიც ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან.

ბრძანების მიხედვით, სესხის გამცემი სუბიექტი („სგს“) შეიძლება ფუნქციონირებდეს ინდივიდუალური მეწარმის, შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების სამართლებრივი ფორმით.

სგს არის პირი, რომლის მიმართ ერთდროულად 20-ზე მეტ ფიზიკურ პირს (მათ შორის, ინდივიდუალურ მეწარმეს) აქვს სასესხო/საკრედიტო ვალდებულება.

სგს-დ რეგისტრაციის ვალდებულების მქონე პირებმა 2019 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 31 მარტამდე ეროვნულ ბანკში უნდა წარადგინონ სარეგისტრაციო დოკუმენტები/ინფორმაცია.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N206/04

2018 წლის 18 სექტემბერს ეროვნული ბანკის ბრძანებით N206/04 დამტკიცდა ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი. ბრძანებით განისაზღვრება ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების წესი და პირობები.

ფასიანი ქაღალდების რეესტრი არის რეესტრი, რომელსაც აწარმოებს ემიტენტი ან ფასიანი ქაღალდების ლიცენზირებული რეესტრატორი. რეესტრში აღნიშნულია რეესტრირებული მფლობელებისა და მათ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების რაოდენობა, კლასი და მათთან დაკავშირებული, კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა ინფორმაცია;

რეესტრატორი პასუხისმგებელია მის მიერ წარმოებული ფასიანი ქაღალდების რეესტრის სისრულეზე, სისწორესა და უსაფრთხოებაზე.

რეესტრში არსებული ინფორმაციის მოპოვების უფლება აქვთ შემდეგ პირებს:

- ა) ემიტენტს;
- ბ) რეესტრირებულ მფლობელს;
- გ) საქართველოს ეროვნულ ბანკს;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა პირებს კანონმდებლობის შესაბამისად.


საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:



გიორგი თავართქილაძე

საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge



გიორგი ხუროძე

იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი

ბიზნეს ცენტრი King David

მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66

Fax: +995 (32) 224 45 69

deloitte.ge

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი“) კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune“-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით. დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში [Facebook](#), [LinkedIn](#), [Twitter](#).

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუმ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი“) ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან. „დელოიტი“-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.